SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | დეკემბერი | 2020 | №5

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

მილოცვები / კომპანიის სიახლეები / ტექნიკური სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / ქალაქის ამბები

ნათია თურნავა:
"2021 წელი გაცილებით უკეთესი იქნება!"

მიხაილ სოცკი:
"ჩვენ ყველა გამოწვევას გავუმკლავდით!" 4

5
თამაზ დოლაბერიძის მიმართვა მეშახტეებს

6
ლერი კორძაძის ისტორია და მოგონებები

ქალბატონები საპასუხისმგებლო საქმიანობით



6

ტყიბულში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები და

2021 წლის გეგმები 7

ნათია თურნავა
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

ძვირფასო მეშახტეებო, ძვირფასო ტყიბულელებო,

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. 2021 წელი გაცილებით უკეთესი იქნება ვიდრე 2020, რომელიც ძალიან დიდი გამოწვევა იყო მსოფლიოსთვის, საქართველოსთვის და რა თქმა უნდა, თქვენთვის. თქვენ ხართ ერთ-ერთი მამაცი და ძალიან მნიშვნელოვანი პროფესიის წარმომადგენლები.

მიხარია, რომ „საქნახშირში“ 1200-მდე მეშახტეა დასაქმებული, ახალი გეგმები გაქვთ და აქტიურად ავითარებთ ინფრასტრუქტურას, მუშაობთ მოპოვების გაზრდაზე. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს კომპანიასთან ერთად, ჩვენი მხარდაჭერით, ერთად მივაღწევთ საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას და ამ დიდ საქმეში ტყიბულის შახტების წვლილი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

2020 წელი თქვენთვისაც რთული იყო, პანდემიამ თქვენც თავისი დაღი დაგასვათ. ყველაფრის მიუხედავად, თქვენ ძლიერი ადამიანები ბრძანდებით, ყველა სირთულე იქნა გადალახული და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ყველა გამოწვევას ასე გაუმკლავდებით. მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ დამდეგი 2021 წელი, გისურვოთ ჯანმრთელობა, წარმატება და ძალიან ბევრი ახალი მიღწევა.

ზვიად შალამბერიძე
სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და კეთილდღეობას გისურვებთ. მეტი სიკეთე, სიძლიერე და სიხარული მოეტანოს 2021 წელი თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის!

ტყიბულის შახტა და თითოეული მეშახტე უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის, რეგიონის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ქართული ნახშირი ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის საწინდარია და თქვენ უდიდესი წვლილი შეგაქვთ ამაში, ისევე როგორც დარგის განვითარებაში, რომლის შენარჩუნება და წინსვლა სწორედ თქვენს პროფესიონალიზმსა და ცოდნაზეა დამოკიდებული. მისასალმებელია როდესაც ასეთ რისკიან და საპასუხისმგებლო პროფესიას ეუფლებიან მომავალი თაობები იმ მიზნით, რომ გააგრძელონ თქვენი საქმე და საკუთარი წვლილი შეიტანონ მეშახტეების ქალაქის უკეთეს მომავალში. კომპანიასთან ერთად სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რომ მეშახტეებს ჰქონდეთ უსაფრთხო სამუშაო გარემო, ადგილობრივი ნახშირის მოპოვება შრომის პირობების სრული დაცვით მიმდინარეობდეს და თქვენზე ზრუნვა კვლავაც გაგრძელდება.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით თითოეულს ასეთი რთული პროფესიის ერთგულებისთვის. გისურვებთ, ძალიან დიდხანს გქონოდეთ პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად საჭირო უნარი, ენერგია, სიმტკიცე და მოტივაცია!

თემურ ჩუბინიძე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი

ჩემო ძვირფასო მეშახტეებო, გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და ბენიერებას თქვენს ოჯახებთან ერთად. 2021 წელი, ჩვენ ქვეყნისთვის წინსვლის, წარამტების და ეკონომიკურად გაძლიერების წელი ყოფილიყოს. თითოეული თქვენგანისთვის მშვიდობა, სიკეთე და სიხარული მოეტანოს.

განსაკუთრებულია მეშახტეთა როლი ტყიბულის განვითარებაში, მადლობა მინდა გითხრათ გაწეული შრომისთვის. ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანია ყველა თქვენგანის კეთილდღეობა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. ამის ნათელი დასტურია ისიც, რომ მთავრობის ძალისხმევით ტყიბულის შახტებში ახალი ინვესტორი შემოვიდა, რომელმაც საწარმოში ტექნოლოგიური განახლების და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესები დაიწყო.

პანდემიით გამოწვეული რთული ვითარების მიუხედავად, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა მუნიციპალიტეტშიც. მჯერა, რომ მომავალშიც ნებისმიერ გამოწვევას ერთობლივი ძალისხმევით დავძლევთ. ოცნებების ასრულების, იმედების გამართლების და ახალი მიღწევებით აღსავსე წელი გქონოდეთ! უფალი გფარავდეთ!

მეუფე გიორგი შალამბერიძე
ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი

ძვირფასო მეშახტეებო გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

სიკეთის, სიხარულის, წარმატებების მომტანი იყოს 2021 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის! გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ნატალია კობახიძე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



დიდი პატივისცემით ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს ჩვენი ქალაქის საყრდენი კომპანიის, ,,საქნახშირის“ თითოეულ მეშახტეს და შახტის ხელმძღვანელობას. დაგილოცავთ ყველაზე რთულ, ვაჟკაცურ და საპასუხისმგებლო პროფესიას. გფარავდეთ უფალი და არასოდეს ჩამოშლილიყოს ის კედელი, რომელსაც თქვენ ამაგრებთ. ახალი წლის ყოველი დღე შთაგონებით, ახლის ჩანაფიქრით და ახალი ენერგიით ყოფილიყოს სავსე. მშვიდობის სიკეთის, ეკონომიკური აღმავლობის და წარმატების მომტანი წლები გიმრავლოთ უფალმა!

ბექა ფერაძე
შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი

შრომის ინსპექციის სახელით ვუერთდები მილოცვას. უპირველეს ყოვლისა, გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას და რაც მთავარია, უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოში მუშაობას!

სრულიად საქართველოსთვის და განსაკუთრებით კი თითოეული მეშახტისთვის წარმატებებისა და სიხარულის მომტანი ყოფილიყოს დამდეგი 2021 წელი! სახელმწიფოს მიზანი თითოეული დასაქმებულისთვის ღირსეული შრომის პირობების ხელშეწყობაა, იმ ფუნდამენტური სტანდარტების დამკვიდრებით, რომელიც უსაფრთხოდ შრომის საბაზისო ნორმებს ქმნის და იმ ეფექტიანი საზედამხედველო სისტემის მექანიზმით, რომლითაც თითოეული დასაქმებულის დაცვის გარანტიებს უზრუნველყოფს.

კიდევ ერთხელ, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და განსაკუთრებული რისკის შემცველი სამუშაოების უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოში შესრულებას გისურვებთ!

გიორგი ჭელიძე
ინვესტორი კომპანიის დამფუძნებელი

„საქნახშირის“ ყველა თანამშრომელს და ყველა ტყიბულელს გილოცავთ ახალი წლის დადგომას. 2021 წელი იქნება ჩვენი დიდი მიზნების განხორციელებისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების წელი. პირველ რიგში, მშვიდობასა და ჯანმრთელობას გისურვებთ. მადლობას გიხდით 2020 წელს გაწეული შრომისთვის. მჯერა, რომ ერთმანეთის თანადგომით და საქმის სიყვარულით ყველა გამოწვევას გავუმკლავდებით. გასულ წელს ბევრი მნიშვნელოვანი და სასიკეთო ცვლილება განხორციელდა. დარწმუნებული ვარ, 2021 წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი და შედეგიანი იქნება.

ზურაბ ალდგომელაშვილი
“საქნახშირის“ და COAL GEORGIA-ს გენერალური დირექტორი

გილოცავთ შობა-ახალ წელს, მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2021 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის! მინდა, თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ ეს დღესასწაული.

მჯერა, რომ მუხლჩაუხრელი შრომითა და ერთმანეთის გვერდში დგომით ჩვენ შევძლებთ, რომ უკეთეს პირობებში ვიცხოვროთ!

მიხაილ სოცკი
“საქნახშირის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

2021 წლის შემოსვლა ჩემთვის დიდ იმედებთან და გეგმების განხორციელებასთან არის დაკავშირებული. მჯერა, რომ საქართველოში და მთელს მსოფლიოში მშვიდობა იქნება, დავძლევთ ყველა სირთულეს და საშუალება გვექნება, რომ არ დავაგდოთ ტემპი - წავიდეთ წინ, ჩვენი დიდი მიზნებისკენ. „საქნახშირის“ ყველა თანამშრომელს, ასევე ყველა ტყიბულელს გილოცავთ ახალ წელს! ბედნიერებას, წარმატებას და სიმშვიდეს გისურვებთ.

გიორგი ქარჩავა
ინვესტორი კომპანიის მთავარი ფინანსისტი

ჩვენს ყველა თანამშრომელს ვულოცავ შობა-ახალ წელს. მიხარია რომ ერთი გუნდი ვართ, ერთად მივიწევთ წინ. დასაფასებელია საქმისადმი თქვენი ერთგულება. ყოველდღე, თითოეულ თქვენგანს საკუთარი წვლილი შეაქვს ქართული ეკონომიკის მდგრადობასა და განვითარებაში; რაც მთავარია, რეგიონის და ქალაქის გაძლიერებაში.

მჯერა, რომ 2021 წელი გასულ წელზე უკეთესი იქნება. ერთად ყველაფერს შევძლებთ. ჯანრმთელობას, წარმატებას და წინსვლას გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს.

ნოდარ ხერხეულიძე
ინვესტორი კომპანიის მთავარი იურისტი

ყველა მეშახტეს და ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს ვულოცავ 2021 წლის დადგომას. წარმატებას და ჯანმრთელობას გისურვებთ. საამაყო და დასაფასებელია თითოეული თქვენგანის თავდადება და პროფესიონალიზმი. მინდა იცოდეთ, რომ თქვენი კეთილდღეობა და უსაფრთხოება კომპანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტთაგანია. 2020 წელს ბევრ სირთულეს გავუმკლავდით, ბევრი სასიამოვნო ცვლილებაც განხორციელდა. მჯერა, რომ წინ კიდევ უფრო ნაყოფიერი და წარმატებული წელი გველოდება.

მიხაილ სოცკი: *“ჩვენ ყველა გამოწვევას გავუმკლავდით!“*

მას შემდეგ, რაც „საქნახშირში“ ახალი მენეჯმენტი მოვიდა, 1 წელი გავიდა. ამ პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა - გაჩერებული საწარმო ამუშავდა, განახლდა მოპოვებითი სამუშაოები, განსაკუთრებული რესურსი დაიხარჯა უსაფრთხოების მიმართულებით და რაც მთავარია, შეიცვალა ანაზღაურების სისტემა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომპანიის ადმინისტრაცია ყოველთვის მზად არის მოუსმინოს თითოეულ თანამშრომელს და შეიძლება ითქვას, რომ კავშირი დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის სრულად აღდგა. სწორედ მეშახტეების უშუალო ჩართულობით და მათი აზრის გათვალისწინებით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება. 2020 წელს „საქნახშირის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მიხაილ სოცკი პოზიტიურად აფასებს:

მიხაილ სოცკი: “2019 წლის ოქტომბერში, როდესაც „საქნახშირის“ მმართველობა ჩვენმა კომპანიამ ჩაიბარა, ყველა მომპოვებელი უბანი გაჩერებული იყო, საწარმოში მოპოვებითი სამუშაოები არ მიმდინარეობდა თუმცა, თანამშრომლები სრულად იღებდნენ ხელფასს. ეს მდგომარეობა ჩვენს მოსვლამდე 1 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. არ არსებობდა სამუშაო დისციპლინა, რაიმე პერსპექტივა ან გეგმები. არ იყო მუშაობის, მეტი ნახშირის მოპოვების და მეტი ანაზღაურების მიღების სურვილი. ინფრასტრუქტურა დაძველებული, აღჭურვილობის ტექნიკური მდგომარეობა კი სავალალო გახლდათ. ასეთი მემკვიდრეობა გვერგო 2019 წლის ოქტომბერში. ჩვენ 4 თვის განმავლობაში ვიკლევდით შახტების ტექნიკურ მდგომარეობას, საშტატო განაკვეთს და სახელფასო ფონდს. შედგა კრიზისული გეგმა, რომელიც წარვუდგინეთ სახელმწიფოს. ამის შემდეგ შევედით შახტაში და დავიწყეთ ნახშირის მოპოვება”.

რა ცვლილებები განხორციელდა ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, ბოლო 1 წლის განმავლობაში?

ჩვენ საწარმოს კრიზისურლი მდგომარეობიდან გამოყვანის კონკრეტული გეგმით მოვედით. შახტის ამუშავებასთან ერთად ჩვენმა სპეციალისტებმა მისი კორექტირება ადგილზე არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე დაიწყეს. 4 თვის განმავლობაში გეგმა მთლიანად დამტკიცდა, განვსაზღვრეთ შახტის განვითარების გზები, აუცილებელი ინვესტიციების განხორციელების თანმიმდევრობა და რაც მთავარია, აუცილებელი მიზნებიდან, ამოცანებიდან გამომდინარე შევქმენით ანაზღაურების ახალი სისტემა და ახალი საშტატო განაკვეთი. თავიდან, ჩვენს თანამშრომლებს არ უნდოდათ აღნიშნული ცვლილებების განხორციელება, იყო გაფიცვებიც, თუმცა ეს რთული პერიოდი გავიარეთ. მეშახტეებმა შეძლეს კონცენტრირება და გააზრება, რომ ამ რთულ ეკონომიკურ პირობებში საჭიროა მუშაობა, საკუთარი ძალების მობილიზება, ოჯახებზე და ახლობლებზე ზრუნვა. ისინი მთელი ძალით შეუდგნენ მუშაობას. ზაფხულში 20 სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც მეშახტეები აქტიურად იყვნენ ჩართულები. განვიხილეთ საშტატო განაკვეთისა და ანაზღაურების ახალი სისტემის ინვესტიციის საკითხები, ერთად შევიტანეთ კორექტივები. შედეგად, შახტების განვითარების საერთო გეგმა დამტკიცდა და დაიწყო მისი რეალიზება. ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადასვლის შედეგად გაიზარდა მეშახტეების ხელფასები, შეიცვალა საშტატო განაკვეთი. ახლა კადრების დეფიციტის პრობლემის წინაშე ვდგავართ და ვმუშაობთ მათ შევსებაზე. 2021 წლის გაზაფხულისთვის ამ დეფიციტს აუცილებლად შევავსებთ.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ დიდ ყურადღებას ვამახვილებთ სოციალურ საკითხებზე. აღვნიშნავთ დღესასწაულებს, ვატარებთ სპორტულ-გასართობ ღონისძიებებს (ვირუსის გამო დროებით შევაჩერეთ ღონისძიებები). რეგულარულად გამოდის კორპორატიული გაზეთი, რაც ძალიან კარგი საშუალებაა შახტაში არსებული პრობლემებისა თუ სიახლეების, ასევე ქალაქში მიმდინარე პროცესების განსახილველად.

ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხი შრომის უსაფრთხოებაა, რა ღონისძიებები გატარდა ამ მიმართულებით?

შრომის უსაფრთხოებას უდიდესი ყურადღება ეთმობა, ამ მიმართულებით დიდი ძალისხმევა იხარჯება. სამუშაო ადგილზე დაუშვებელია ნებისმიერი მცირე დარღვევაც კი, უსაფრთხოების ზომები ყველა თანამშრომლის მიერ 1000 %-ით უნდა იყოს დაცული და კომპანიის ხელმძღვანელობა ამას განსაკუთრებულად აკონტროლებს. თავიდანვე, გერმანელ სპეციალისტებთან ერთად შევისწავლეთ არსებული სიტუაცია, ჩვენს მოსვლამდე მომხდარი უბედური შემთხვევები, გამოვავლინეთ სუსტი ადგილები, რომლებიც გაორმაგებულ ყურადღებას ან კარდინალურ ცვლილებებს საჭიროებდა. ამ ღონისძიებების შედეგად შევცვალეთ შრომის უსაფრთხოების მაკონტროლებლების შტატი. შრომის უსაფრთხოების ტექნიკის მიმართლებით განსაკუთრებული გადამზადება გაიარეს როგორც მაკონტროლებლებმა, ისე შახტის მთელმა პერსონალმა. ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ ჩააბარეს გამოცდები. ასევე, გავამკაცრეთ კონტროლი ფეთქით სამუშაოების ჩატარებაზე.

> *“საერთო ჯამში, წელმა პოზიტიურად ჩაიარა, ყველა გეგმა და დავალება განვახორციელეთ, რომელიც “საქნახშირში” მოსვლისას დავსახეთ.*

რა გაკეთდა შრომითი პირობების გაუმჯობესების კუთხით?

შემუშავდა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება ქვა-ნახშირის მოპოვების გაზრდის სტიმულირება. საწარმოს მუშაობაზე ამან ყველანაირი თვალსაზრისით არსებითი გავლენა იქონია. ეს სისტემა დიფერენცირებულად ესადაგება ყველა პროფესიას. მისი საშუალებით მეშახტეების ანაზღაურება 20-35%-ით გაიზარდა. ასევე, მოხდა აღჭურვილობის მოდერნიზაცია, ახალი აღჭურვილობის შემოტანა, გაკეთდა კაპიტალური რემონტი. ჩვენმა სპეციალისტებმა მოპოვების ახალი სტანდარტი შეიმუშავეს. ორმაგი ძალებით შევუდექით მოპოვების გაძლიერებას და ველოდებით დადებით შედეგებს მოპოვების რაოდენობისა და შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.

წლის მიწურულს, როგორ შეაფასებთ 2020 წელს?

გასული წელი ჩვენთვის დიდი გამოწვევების წელი იყო - ახალ საწარმოში მოვედით, არაერთი პრობლემა და გაურკვევლობა დაგვხვდა, ბევრი საკითხი იყო გადასაწყვეტი. გარდა ამისა, მსოფლიოს მსგავსად, ისეთ პრობლემას შევეჯახეთ, როგორიც არის პანდემია. ორკვირიანი გაჩერების შემდეგ კვლავ ავმუშავდით. ამ პერიოდში თანამშრომლები სრულად იღებდნენ ანაზღაურებას. პერმანენტულად საწარმოში ტარდება კოვიდ ტესტები და მიმდინარეობს თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი. შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემას გავუმკლავდით, თუმცა მიუხედავად ამისა, განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეული გავლენა იქონია ჩვენი გეგმების განხორციელებაზე. ამ ბარიერების და რთული გამოწვევების მიუხედავად, საერთო ჯამში, წელმა პოზიტიურად ჩაიარა. ფაქტობრივად ყველა გეგმა და დავალება განვახორციელეთ, რომელიც „საქნახშირში“ მოსვლისას დავსახეთ. გარდა ამისა, პატარ-პატარა ნაბიჯებით მივიწევთ წინ და აღვადგინეთ კონტაქტი ადმინისტრაციასა და შახტის კოლექტივს შორის. ამან დადებითი გავლენა იქონია მოპოვებაზეც და წლის დასაწყისთან შედარებით ნახშირის მოპოვება ორჯერ გაიზარდა. პროდუქციის ხარისხი, რომელსაც ჩვენი გამამდიდრებელი ფაბრიკა გამოიმუშავებს, გადავიდა ახალ საფეხურზე.

როგორია თქვენი გეგმები 2021 წლისთვის?

პირველ რიგში, ჩვენი მთავარი გეგმა არის ის, რომ დავასრულოთ სრული მოდერნიზაციის პროცესი, ბოლომდე მივიყვანოთ ტექნიკური პარკის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები (საშახტო ტრანსპორტის, ამწე მექანიზმების, მომპოვებელი ველების ჩათვლით). ასევე, გვინდა ავამუშაოთ პირველი უბანი, -300 და -275 ჰორიზონტებზე გავიყვანოთ ახალი ველები, განვაახლოთ საველე გვირაბების გაყვანითი სამუშაოები. ახალი წლიდან კი, ჩვენ მიერ გატარებული ღონისძიებების მიზანი მშვიდ მუშაობასა და 30 000 ტონის გარანტირებულ მოპოვებაზე გადასვლაა.

რა არის საჭირო ამ გეგმების განსახორციელებისა და კომპანიის შეუფერხებელი მუშაობისთვის?

ნებისმიერ საქმეში სტაბილურობა ყველაზე მნიშვნელოვანია. იმისათვის რომ შახტა განვითარდეს, ჩვენი ყველა გეგმა და ინვესტიცია წარმატებით განხორციელდეს, პირველ რიგში საჭიროა, რომ ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყოს და რა თქმა უნდა, დასრულდეს პანდემია.

ახალი ველების ექსპლუატაციაში გაშვება მნიშვნელოვნად გაზრდის ქვა-ნახშირის მოპოვებას და სამუშაო ადგილებს!

მალე „საქნახშირში“ ექსპლუატაციაში შევა ახალი მომპოვებელი ველები. მათი მზადება და აღჭურვილობის შეძენა უკვე დაწყებულია - ნაწილი შეძენილია და ნაწილის შეძენა კი ეტაპობრივად ხდება. „საქნახშირის“ ადმინისტრაციის განცხადებით, საწარმოს ხელმძღვანელობამ მომდევნო წლის სამთო სამუშაოების განვითარების პროგრამა შეიმუშავა, სადაც დეტალურადაა გაწერილი 2021 წელს განსახორციელებელი სამუშაოები, კონკრეტულად: პროგრამაში მოცემულია გვირაბების ჩამონათვალი, რომელთა გაყვანაც მომავალ წელს უნდა მოხდეს. ასევე მოცემულია ის საექსპლუატაციო ველები, სადც უნდა მოხდეს ქვა-ნახშირის მოპოვება. ახალი ველების ამუშავება მნიშვნელოვნად გაზრდის ქვა-ნახშირის მოპოვებას, ეს კი ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

ოლეგ როზუმი (წარმოების დირექტორი): ახალი ველის მწყობრში მოსაყვანად ახალი კონვეიერების შეძენა უკრაინიდან და ჩინეთიდან ხორციელდება. ახალი ველის გახსნა მნიშვნელოვანია მოპოვების გასაზრდელად, წარმოების შეუფერხებელი მუშაობის გასაგრძელებლად; ეს სამუშაოებს უფრო რენტაბელურს გახდის. რაც მთავარია, დაემატება სამუშაო ადგილები. ახალი ველისათვის შეკვეთილია გამშვი მოწყობილობები და საკაბელო მეურნეობა, ხოლო ძველი მოწყობილობებისთვის მიღებულია ახალი სათადარიგო ნაწილები და ხორციელდება დანადგარების შეკეთება. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, რათა ველის გახსნისთვის ყველაფერი გამართული იყოს.

ალექსანდრ ლოვინი (მთავარი ინჟინერი): N1 ველში, სადაც მე-6 უბანი მუშაობს (+240 და +270 ჰორიზონტზე) ქვა-ნახშირის მარაგები იწურება, მაგრამ მოპოვებითი სამუშაოები ჯერჯერობით ისევ გრძელდება, რადგან დაახლოებით 10 000 ტონამდე ქვა-ნახშირი არის დარჩენილი. პროგრამით გათვალისწინებულია მე-6 უბნის N19 ველში გადაყვანა, სადაც თვეში 7500 ტონის მოპოვება იგეგმება. წლების განმავლობაში, ძველ უბანში მოპოვებული იყო დაახლოებით 160 605 ტონა ქვა--ნახშირი. ახალი ველი აპრილში გაიხსნება, თებერვალში კი N10 ველი გაიხსნება, სადაც მოპოვება თვეში 8000 ტონა იქნება. ახალ ველში ამჟამად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

ბადრი არაბიძე (დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში): „2021 წელს ნახშირის მოპოვება განხორციელებული იქნება N8, N17, N19 და N10 ველებში. დაახლოებით 6 თვეა რაც N19 ველი მზადდება, მიმდინარეობს კვერშლაგების გაყვანა, მოხდება შტრეკების და გამკვეთების გაყვანა, რათა ქვა-ნახშირის მოსაპოვებლად მომზადდეს წმენდითი სანგრევი. სხვადასხვა ტექნიკური და ობიექტური მიზეზების გამო, N19 ველის ექსპლუატაციაში გაშვებამ შესაძლოა 2 თვით დაიგვიანოს, ვინაიდან N1 ველში, სადაც VI უბანი მოიპოვებს ქვა-ნახშირს, მარაგები იანვრის თვეში ამოიწურება. ხანმოკლე პერიოდით (დაახლოებით 1 თვით) VI უბანი შეიძლება დარჩეს ნახშირის მოპოვების გარეშე, მაგრამ ამ უბნის პერსონალი მაქსიმალურად იქნება გამოყენებული N19 ველში მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად.

რაც შეეხება N10 ველს, ამჟამად იქ აღდგენითი სამუშაოების წარმოება დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. ჩვენი პროგნოზით, მოპოვებითი სამუშოები აღნიშნულ ველში თებერვლიდან უნდა დაიწყოს, ნახშირმომპოვებელ სამუშაოებს I უბანი განახორციელებს. მე-4 მომპოვებელი უბნის შემატება მოგვცემს საშუალებას, რომ გავზარდოთ ნახშირის მოპოვების მოცულობა. ზემოთ აღნიშნული უბნებიდან 2021 წელს ნახშირის მოპოვებამ უნდა მიაღწიოს 300 000 ტონას. ეს კი ბონუსური სისტემის სრულყოფილად დასანერგად და საწარმოო ფრონტის გაფართოებისათვის მეტ შემოსავლებს გაუჩენს კომპანიას. ახალი უბნის გახსნა კომპანიას საშუალებას აძლევს, რომ დაახლოებით 40 ახალი სპეციალისტი მივიღოთ. მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული, რომ „საქნახშირში“ დავაბრუნოთ გამოცდილი პერსონალი, ვინც 2 წლის წინ, შახტის გაჩერების გამო დატოვა სამსახური.

N10 და N19 ველების ექსპლუატაციაში გასაშვებად საჭირო მანქანა-მექანიზმები, კონვეიერები, ჯალამბრები, ვენტილატორები, ხანძარსაწინააღმდეგო და პროფილაქტიკური ლამის მისაწოდებელი მილგაყვანილობები და სხვა უკვე შეძენილია კომპანიის მიერ და უახლოეს პერიოდში ველოდებით. მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩაიდო საშახტო ტრანსპორტის გამართული მუშაობისთვის: უახლოეს პერიოდში შემოტანილი იქნება ელმავლების სათადარიგო ნაწილები, ელმავლის აკუმულატორული ბატარეები, რელსები სარკინიგზო მეურნეობის მოსაწესრიგებლად და მასთან დაკავშირებული დამხმარე მასალები (შპალი, გვერდსაფენი, ქვეშსაფენი და ომბოხი შესაბამისი რაოდენობით).“

გიორგი ბაბუხადია (მთავარი ინჟინრის მოადგილე): „ქვა-ნახშირის მარაგების ამოწურვამ საჭირო გახადა ახალი მომპოვებელი ველების გახსნა. N10 და N19 ველები საშუალებას მოგვცემს უფრო მეტი ნახშირი მოვიპოვოთ. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას იქონიებს თანამშრომლების ანაზღაურებაზე. გარდა ამისა, საგრძნობლად გაიზრდება სამუშაო ადგილების რაოდენობა. ყველაფერი ერთად უზრუნველყოფს საწარმოს გამართულ მუშაობას, გაძლიერებას და თანამშრომლების კმაყოფილებას.“

თამაზ დოლაბერიძის მიმართვა მეშახტეებს

ძვირფასო მეშახტეებო, მიიწურა გამოწვევებით სავსე 2020 წელი, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის უპრეცედენტოდ რთული აღმოჩნდა. დაწესებულმა შეზღუდვებმა დიდი ეკონომიკური გავლენა იქონია ტურიზმის, საცალო ვაჭრობის, ტრანსპორტის და მშენებლობის სექტორებზე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მაჩვენებლებით, მსოფლიოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოში უმუშევრობის დონე 2020 წლის მე-2 კვარტალში (2019 წლის მე-2 კვარტალთან შედარებით) 0,9%-ით გაიზარდა და 12,3% შეადგინა.

უმუშევრობის 0,9%-იანი ზრდა შეესაბამება 15 900 უმუშევარს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 43 800-ით. მათგან 15 900 გახდა უმუშევარი, 9 600-მა გადაინაცვლა თვითდასაქმებაში, ხოლო დანარჩენი 18 300 გაურკვეველი ვადით გამოეთიშა სამუშაო ძალას.

ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და დამსაქმებელი კომპანიების მიერ გამოვლენილი მაღალი პასუხისმგებლობით, მაქსიმალურად იქნა შენარჩუნებული საწარმო სიმძლავრეები სამთო, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სექტორებში.

თითოეული მეშახტისა და შპს ,,საქნახშირი“-ს ად-

მინისტრაციის მიერ, არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, ეფექტიანად განხორციელდა კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის მართვა. საკმაოდ პრაგმატული და სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, როდესაც, კოვიდის გავრცელების ჯაჭვის გაწყვეტის მიზნით 2 კვირით იქნა შეჩერებული ნახშირმოპოვების პროცესი. ამან კომპანიას საშუალება მისცა გრძელვადიან პერსპექტივაში მაქსიმალურად ეფექტიანად გამოეთვალა საწარმო სიმძლავრეების შენარჩუნების შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, რომ შრომითი პროცესის ორკვირიანი შეჩერების მიუხედავად, არცერთ მეშახტეს არ დაკარგვია არცერთი დღის ხელფასი, რაც კომპანიის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის აშკარა მაჩვენებელია.

პროფკავშირს ძალიან დიდი სურვილი გვქონდა, რომ ახალ წლამდე მოგვეხერხებინა კომპანიასთან კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება, რაც შესანიშნავი საახალწლო საჩუქარი იქნებოდა მეშახტეებისთვის, თუმცა პანდემიით გამოწვეული სირთულეების გამო, ანუ იმის გამო, რომ კოლექტიური ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები სრულად იყვნენ გადართული პანდემიის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების პროცესში, ჯერჯერობით ეს ვერ მოხერხდა, თუმცა, კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი საბოლოო კორექტირების პროცესს გადის და იმედს ვიტოვებ, რომ უახლოეს მომავალში კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება აუცილებლად მოხერხდება.

ძვირფასო მეშახტეებო - გილოცავთ დამდეგ 2021 წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს, დოვლათს, ბარაქას და წარმატებებს. გისურვებთ როგორც უსაფრთხო შრომას, ასევე შრომისა და ცხოვრების უკეთეს გარემოს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენი მარჯვენით, ჩვენი პროფესიონალიზმითა და მაღალი მოტივაციით 2020 წლის მიერ დატოვებული გამოწვევების დამარცხებას შევძლებთ.

ღვაწლმოსილი მეშახტე - ლერი კორძაძის ისტორია და მოგონებები

ლერი კორძაძემ შახტაში 50 წელი იმუშავა. წლების მანძილზე არაერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა გამოიარა, თუმცა ყველაფერი მუშის პოზიციიდან დაიწყო. ბატონი ლერი 1937 წელს ტყიბულში დაიბადა. მამა, ვალერიან კორძაძეც მეშახტე იყო, 7 წელი მნგრეველად მუშაობდა. შემდეგ პარტიული კომიტეტის მდივანი გახდა, 1944 წლიდან 1970 წლამდე კი ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველის მოადგილე იყო.

ლერი კორძაძემ ტყიბულის მეორე საშუალო სკოლის დამთვრების შემდეგ თბილისში, მაშინდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამთო გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა. მომავალი მეუღლე, ნარგიზა თაბაგარი მან სწორედ ინსტიტუტში გაიცნო. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და სწავლის დასრულებისთანავე იქორწინეს. 1961 წელს ახლადდაქორწინებული მშობლიურ ქალაქში მეუღლესთან ერთად დაბრუნდა. წყვილს 2 შვილი შეეძინა. ბატონი ლერი ახლა შვიდი შვილიშვილის ბაბუაა.

ტყიბულში დაბრუნების შემდეგ ბატონი ლერის მეუღლემ ტყიბულნახშირის სამმართველოში დაიწყო მუშაობა, თავად ბატონი ლერი კი მაშინდელ „სტალინის სახელობის შახტაში“ გაანაწილეს, სადაც 1961 წლიდან 1981 წლამდე სხვადასხვა პოზიციებზე იმუშავა - იყო სამთო ტექნიკოსი, უბნის უფროსის მოადგილე, უბნის უფროსი, მთავარი ინჟინრის მოადგილე, მთავარი ინჟინერი და შახტის დირექტორი.

„ძალიან რთული სამუშაო პირობები გვქონდა, 4 ცვლა იყო - პირველი დილის 7 საათზე იწყებოდა, მეორე 1 საათზე, მესამე საღამოს 7 საათზე, ხოლო მეოთხე ღამის 1 საათზე. უბნის უფროსი ვალდებული იყავი ოთხივე ცვლაზე ყოფილიყავი. მინდა გითხრათ, რომ საერთოდ არ მიჭირდა...“

1982 წელს სტალინის სახელობის შახტიდან სამუშაოდ ტყიბულის სამთო ტექნიკური ინსპექციის უფროსად გადაიყვანეს, რომელიც ტყიბულის შახტების უსაფრთხოებას აკონტროლებდა. ამ პოზიციაზე 2 წელი იმუშავა. შემდეგ დააწინაურეს და ქუთაისში, საქართველოს გასამხედროებული სამთო მაშველის ნაწილების უფროსად დანიშნეს, რომელიც ემსახურებოდა ტყიბულს, ტყვარჩელს, ახალციხეს, ფერადი მეტალურგიის საწარმოებს. ბატონი ლერი იქ სამსახურის გაუქმებადე, ანუ 1990 წლამდე მუშაობდა. 1993-2006 წლამდე ტყიბულნახშირის სამმართველოს კადრების განყოფილებაში მუშაობდა.

კითხვაზე „რას გაიხსენებდით განვლილი ცხოვრებიდან,“ ბატონი ლერი პასუხობს: **„შახტის სიყვარული, ნახშირის სიყვარული და სამშობლოს სიყვარული!“** ის იმ იშვიათი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, ვინც საყვარელ საქმეს უდიდესი ენთუზიაზმითა და ერთგულებით აკეთებდა. მართლაც, სიყვარულით და თავდადებით ემსახურა ბატონი ლერი პროფესიას, სამშობლოს და თანამოქალაქეებს. 83 წლის ყოფილი მეშახტის თითოეულ

სიტყვაში პროფესიონალიზმი და საქმის ერთგულება იგრძნობა. აღსანიშნია, რომ ბატონი ლერის დამსახურებით ბევრი კარგი რამ გაკეთდა. ტყიბულში სამთო ფაკულტეტის ფილიალის გახსნაც მისი ძალისხმევით მოხერხდა.

„კადრებში რომ ვმუშაობდი მივაღწიე იმას, რომ ტყიბულში სამთო ფაკულტეტის ფილიალი გახსნილიყო და ერთი მოსამზადებელი ჯგუფი გვქონდა. თბილისიდან ლექტორები ჩამოდიოდნენ, ახალგაზრდები გამოცდას აბარებდნენ და სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები ხდებოდნენ. 1994 წლიდან 2005 წლამდე, 20-30 ინჟინერი იზრდებოდა ტყიბულის სასწავლებელში.“

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 1 სექტემბრის N554 განკარგულებით ლერი კორძაძე დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით. ასევე, მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისთვის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 30 იანვრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა.

ქალბატონები საპასუხისმგებლო საქმიანობით



მარინა იურკინა

მანანა სოხაძე

ირმა აბაშიძე

ამწე მანქანის მემანქანეობა რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა. „ძიძიგურის“ შახტაზე, სტაციონალური დანადგარის ჯგუფში, უმეტესად ქალები არიან დასაქმებულები. მათი მოვალეობა შახტაში ლიფტით (იგივე „კლეტით“) მეშახტეების ჩაშვება და ამოყვანა, ასევე ტვირთის გადაადგილებაა. შეცდომა დაუშვებელია, ამიტომაც გაასმაგებული ყურადღებით ეკიდებიან საქმეს. როგორც თავად ამბობენ, უყვართ ის რასაც აკეთებენ და უკვე წლებია 12 საათიან სამუშაო გრაფიკში ენაცვლებიან ერთმანეთს.

ამწე მანქანის მემანქანედ დასაქმებული ხუთი ქალბატონი დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე, დღისა და ღამის სმენებში მუშაობს.

მარინა იურკინა თითქმის 27 წელია შახტაში მუშაობს. ამ ხნის მანძილზე სხვადასხვა პოზიციაზე იყო დასაქმებული. უკვე 9 წელია ამწე მანქანის მემანქანეა.

მზევინარ ლომთაძეს შახტაში მუშაობის 15 წელი შეუსრულდა. მისი შვილიც შახტაში, რემონტის უბანშია დასაქმებული.

ქალბატონი მზევინარის მსგავსად, **ეთერ ბუცხრიკიძეც** 15 წელია შახტის თანამშრომელია. მისი მეუღლეც მეშახტე იყო. ოჯახის შემოსავალი ქალბატონი ეთერის ხელფასია.

მანანა სოხაძე პროფესიით ექთანი და ბუღალტერი გახლავთ. ამწე მანქანის მემანქანედ მუშაობა 13 წლის წინ დაიწყო. ჰყავს 2 ქალიშვილი. მეუღლე გარდაეცვალა და შახტაში მიღებული ხელფასით ირჩენს თავს.

ირმა აბაშიძე ამწე მანქანის მემანქანედ 3 წელია მუშობს.

მეშახტე ქალებისთვის ეს სამსახური სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია, შახტაში მიღებული ხელფასი მათი ოჯახების საარსებო წყაროა. ქალბატონები სამსახურს მეორე ოჯახად მიიჩნევენ, პატივისცემით და თანადგომით არიან განწყობილი ერთმანეთის მიმართ, სიხარულს და მწუხარებას ერთად იზიარებენ და საკუთარი წვლილი შეაქვთ საწარმოს გამართულ მუშაობაში.

მზევინარ ლომთაძე

ეთერ ბუცხრიკიძე

ტყიბულში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები და 2021 წლის გეგმები

გასულ წელს, ტყიბულის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა უწყებების დაფინანსებით მნიშვნელოვანი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები გახორციელდა. მათ შორისაა ცხრაჯვარის სალოცავთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულებამ 2 მილონი ლარი შეადგინა.

"ცხრაჯვარის" გზაზე 2020 წელს განსაზღვრული სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე დასრულებულია. 3,6 კმ-იან მონაკვეთზე დაიგო ორფენიანი ასფალტის საფარი, საავტომობილო გზის გასწვრივ მოეწყო რკინა–ბეტონის კიუვეტები, განხორციელდა საყრდენი კედლების მშენებლობა და დამონტაჟდა გარე განათების ბოძები. პროექტი, როგორც პარკინგის, ასევე ,,გადასახედის" მოწყობასაც ითვალისწინებს და სამუშაოები მომავალ წელსაც გაგრძელდება.

ტყიბულის **წყალმომარაგების გამწმენდი ნაგებობის** მშენებლობის პროექტის ფარგლებში, უკვე დასრულდა საფილტრე სადგურის მშენებლობა, გადაიხურა შენობა და მიმდინარეობს ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟი. სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 მილიონი ლარი გამოიყო. სამუშაოები „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" დაკვეთით მიმდინარეობს.

დასრულდა ახალი, **მე-4 საბავშვო ბაღის** მშენებლობა. 50 ბავშვზე გათვლილი ორსართულიანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობისათვის, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 739 200 ლარი გამოიყო. შენობა და მიმდებარე ტერიტორია ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. მიმდინარეობს ბაღის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა.

მუნიციპალიტეტს წელს კიდევ ორი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შეემატა. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონიდის დაფინანსებით, ასევე დასრულდა ქალაქის N2 და სოფელ გელათის საბავშვო ბაღების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, ხოლო 7 საბავშვო ბაღში მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა.

ქალაქის ცენტრალური **საავტომობილო გზის** სრული რეაბილიტაციისათვის 5 მილიონი ლარი იხარჯება. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით რეაბილიტაცია უტარება გზის 5 კმ-იან მონაკვეთს. მიმდინარეობს 150 მოსწავლეზე გათვლილი N2 საჯარო სკოლის მშენებლობა, რომლის ღირებულება 2 500 000 ლარს შეადგენს.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წლის დასაწყისში ტყიბულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5 251 487 ლარი. აქედან, სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 3 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია 16 მიმართულებით განხორციელდა.

ქალაქის ცენტრში დასრულდა **სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსისა და პარკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია**. პროექტის ფარგლებში, არსებული სკვერის საფეხმავლო ბილიკები ქვის ფილებით მოპირკეთა, განახლდა მწვანე საფარი, განთავსდა ძელსკამები და რეაბილიტაცია ჩუტარდა შადრევანს. პარალელურად, წესრიგშია მოყვნაილი ხელოვნურსაფარიანი მინი მოედანი, ტრიბუნები, სველი წერტილები და გასახდელები. აღიშნულ სივრცეში დაიდგა სპორტული ტრენაჟორები, ხოლო კომპლექსის მიმდებარედ, გზის სავალ ნაწილზე დაიგო ასფალტო-ბეტონის საფარი. პროექტის ღირებულებამ 869 988 ლარი შეადგინა.

წერეთლის ქუჩაზე, **თანამედროვე ტიპის მინი სპორტული მოედანი** მოეწყო. პროექტი, 36 352 ლარით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. მომავალ წელს სპორტული მოედნის მიმდებარედ სკვერის მოწყობაც იგეგმება. პარალელურად, რეაბილიტაცია ჩაუტარდა თბილისის ქუჩაზე მდებარე მინი სტადიონსაც.

ტყიბულს კიდევ ერთი კეთილმოწყობილი დასასვენებელი სივრცე შეემატა - კოსტავას ქუჩაზე **განახლდა სკვერი**, გაკეთდა თანამედროვე ტიპის საფეხმავლო ბილიკები, მოეწყო გარე განათება, განთავსდა ატრაქციონი, ფანჩატური, სპორტული ტრენაჟორები და ძელ-სკამები. პროექტის ღირებულებამ 151 781 ლარი შეადგინა. სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, განხორციელდა მრავალბინიანი კორპუსების შიდა ეზოების რეაბილიტაციიც. ტყვარჩელის ქუჩაზე 285 531 ლარის ფარგლებში, კორპუსების შიდა ეზოებში ბეტონის საფარი დაიგო.

დასრულდა **გელათის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი ისტორიული გზის (ე.წ. ,,დავითის გზის") რეაბილიტაცია**. პროექტის ღირებულებამ 1 113 662 ლარი შეადგინა, რომლის ფარგლებში 680 გრძ/მეტრზე ტურისტული საფეხმავლო ბილიკი ნიჩბისის ქვის ფილებით მოპირკეთდა, ხოლო 1480 გრძ/მეტრზე ბეტონის საფარიანი არმირებული საავტომობილო გზა მოეწყო. წმინდა დავითის გზაზე გაკეთდა გარე განათებების სისტემა, განთავსდა ფანჩატურები და ძელ- სკამები. ხრესილისა და საწირის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარეობს წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია, რომლის ჯამური ღირებულებაც 950 000 ლარია.

განხორციელდა 13 ერთეული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის, სტიქიისაგან დაზიანებული საყრდენი კედლების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 11 საჯარო სკოლაში ჩატარდა მცირე სარებილიტაციო სამუშაოები.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი 532 000 ლარით, 46 სოფელში 54 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელლდა.

თემურ ჩუბინიძე (ტყიბულის მერი):

„2020 წელს, პანდემიის მიუხედავად მუნიციპლიტეტი ეფექტიანად საქიანობდა. გაზაფხულიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტში მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად სხვადასხვა სახის ღონისძიებები განხორციელდა. პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტებით დახმარება გაეწია 1500-ზე მეტ ბენეფიციარს, მათ შორის, მარტოხელა ხანდაზმულებს, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, მძიმე სოციალური მდგომარეობის მქონე ოჯახებს, დევნილებს და ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისით მოსარგებლეებს. მათ დახმარებას დღესაც ვაგრძელებთ. მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ნაწილზე ზრუნვა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. **მუნიციპალიტეტში მოქმედებს სოციალური სერვისები. ხანდაზმულთა შინმოვლის** სერვისით 30-მდე მარტოხელა ხანდაზმული სარგებლობს, ხოლო **უფასო სასადილოს და სოციალური სამრეცხაოს პროგრამაში ჩართულია** 110 ბენეფიციარი. სწორედ ამიტომ, 2021 წლის ბიუჯეტშიც სოციალურად დაუცველი ადამიანების დასახმარებლად მნიშვნელოვანი თანხები გავწერეთ.

მომავალ წელს, ინფრასტრუქტურის მიმართულებით დაგეგმილია მრავალბინიანი კორპუსების ფასადების, შიდა ეზოების და მე-3 საბავშვო ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია. აფხაიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის მშენებლობა, ხოლო ჯალაღანიასა და გორგასლის ქუჩებზე სკვერის მოწყობა. გადაწყვეტილი გვაქვს სოფლის შიდა გზების კეთილმოწყობაც. ბეტონის საფარი დაიგება ათი მიმართულებით: საწირე, ცუცხვათი, ნაბოსლევი, მოწამეთა, წყნორი, ოჯოლა, კითხიჯი, კურსები, ძმუისი, მანდიკორი. პარალელურად, 9 აპრილის სკვერის, კურსების, ორპირის, მუხურის, საწირის და ქალაქის მე-5 საბავშო ბაღების რეაბილიტაციის მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას დავიწყებთ."

გასული წლის საუკეთესო მომენტები

თევზაობა შაორზე

ნარდის ტურნირი

მეშახტის დღე



ჭადრაკის ტურნირი

პირველკლასელების დასაჩუქრება

პატარები სტუმრად "საქნახშირში"

ფეხბურთის ჩემპიონატი

საქნახშირი SAKNAKHSHIRI

მეშახტე

დეკემბერი | 2020 | №5

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

"საქნახშირის" კორპორატიული გამოცემა